თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2012 წლის 21 ივნისს სხდომის ოქმი #4

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანის მ. შ. აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 31, სტუდენტები – 8, სულ – 40 წევრი.

დღის წესრიგი

1. **თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევის შესახებ**
2. **გემანელ პროფესორ მ. ფოგტისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ**

/ასოც. პროფ. დ. ნარმანია/

3. **ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის (2012–2014) „მარკეტინგის“ მოდულში ცვლილებების შეტანის შესახებ**

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

4. **მიმდინარე საკითხები:**

ა). **შუალედური გამოცდებისა და აპელაციების შესახებ**

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გ. ღაღანიძე/

ბ). **საგამოცდო ცენტრში ფინალური გამოცდების ბილეთების გადაგზავნის მდგომარეობის შესახებ** /ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გ. ღაღანიძე/

გ). **მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ოპტიმიზაციის შესახებ**

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გ. ღაღანიძე/

დ). **ერთიანი ეროვნული გამოცდების გამო კორპუსის შეცვლასთან დაკავშირებით**

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

ე). **სრ. პროფ. მ. მარგველაშვილის ანგარიში სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ**

ვ). ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილის ანგარიში სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ

ზ). ასისტ. პროფ. ა. გაბრიჭიძის ანგარიში სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევის შესახებ

აკადემიური საბჭოს წევრმა სრ. პროფ. ქ. მარშავამ ფაკულტეტის საბჭოს გააცნო აკადემიური საბჭოს #32/03-01-03 გადაწყვეტილება - 2012 წლის 14 მაისის #33/2012 დადგენილების თანახმად, აკადემიურმა საბჭომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე შეარჩია აკაკი ხელაძის კანდიდატურა.

სრ. პროფ. ქ. მარშავამ აღნიშნა, რომ აკადემიურ საბჭოზე განხილვის თანახმად, ვინაიდან არის ერთი კანდიდატურა, შესაძლებელია დეკანის არჩევა ღია კენჭისყრის წესით.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 40;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დეკანის მ.შ. ბატონმა აკაკი ხელაძემ წარადგინა ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია.

სრ. პროფ. ქ. მარშავამ ფაკულტეტის საბჭოს მიმართა, ხომ არ იყო შეკითხვა მომხსენებლის მიმართ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 39;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ი. კოვზანაძემ, სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. თ. შენგელიამ.

დაადგინეს: 1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევა ჩატარდეს ღია კენჭისყრის წესით;

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ბატონი აკაკი ხელაძე;

3. აღნიშნულის დამტკიცება ეთხოვოს თსუ რექტორს.

მოისმინეს: გემანელ პროფესორ მ. ფოგტისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ

/ასოც. პროფ. დ. ნარმანია/

მომხსენებელმა ასოცირებულმა პროფესორმა დავით ნარმანიამ აღნიშნა, რომ ჩვენს ფაკულტეტს უკვე ორ წელზე მეტია მჭიდრო თანამშრომლობა აქვს გერმანიის საქსონიის მხარის კულტურული ინფრასტრუქტურის ინსტიტუტთან (http://kultur.org). ინსტიტუტის მხრიდან პარტნიორობას გვიწევს უშულოდ მისი მმართველი დირექტორი, პროფესორი, დოქტორი მათიას თეოდორ ფოგტი (Matthias Theodor Vogt). ის 1997 წლიდან არის ასევე გერმანიის ციტაუ/გიორლიცის უნივერსიტეტის პროფესორი კულტურის პოლიტიკის და კულტურის ისტორიის განხრით.

ჩვენი თანამშრომლობა დაიწყო 2010 წელს მის მიერ ჩამოსვლით და ფაკულტეტის სტუდენტებისთვის საზოგადოებრივ საწყისებზე საჯარო ლექციების ჩატარებით. 30-ზე მეტმა სტუდენტმა მოისმინა მისი საჯარო

ლექციები, დაესწრნენ კულტურული პრაქტიკის ღონისძიებებს და მოამზადეს პრაქტიკული ესსეები; შემდგომ, მაშინდელ დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან შეთანხმებით (სრული პროფ. ელენე ხარაბაძე), დაიწყო ინტენსიური კომუნიკაცია ერთობლივი საბაკალავრო მოდულის მომზადების კუთხით (მოდული „კულტურის მენეჯმენტი"), რომლის თანახელმძღვანელიც ის იქნებოდა. მისი მხრიდან მომზადდა მოდულის ძირითადი მონახაზი და შესაბამისი სილაბუსები, რაც გადმოგზავნილი იქნა ჩვენთან ორი კვირის წინ და მიმდინარეობს მისი თარგმანი ქართულ ენაზე, რათა მიეცეს შემდგომი მსვლელობა; მიმდინარე წელს, ის დამატებით ესტუმრა ჩვენს ფაკულტეტს და 17-24 მაისს დამატებით ჩაატარა საჯარო ლექცები კულტურის მენეჯმენტში, შესაბამისი პრაქტიკული ნაწილით. ინტერესი ძალიან მაღალი იყო და ლექციებს ესწრებოდა ჩვენი ფაკულტეტის 86 სტუდენტი. სტუდენტები ორივე ლექციების ბლოკის ჩატარებით კმაყოფილები დარჩნენ და აგრძელებენ თანამშრომლობას როგორც პროფესორთან, ასევე ჩვენს კათედრასთან.

ფაკულტეტის ხელმძღვანელობასა და პროფ. ფოგტს შორის არსებობდა შეთანხმება, რომ მომავალში თანამშრომლობის გაგრძელების, მისი მხრიდან მოდულის მომზადების და საჯარო ლექციების ჩატარების შემდგომ, დადგებოდა მისთვის თსუ-ს საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭების საკითხი. მისი მხრიდან ყველა ვალდებულება შესრულებულია და სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებებიც გამოკვეთილია, რაც თქვენთან მისი ბოლო შეხვედრებისას კიდევ ერთხელ დადასტურდა.

ამდენად, გთხოვთ, დასვათ საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რათა გააკეთოს წარდგინება თსუ აკადემიურ საბჭოსთან, პროფ. დოქტ. მათიას თეოდორ ფოგტისთვის თსუ საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ***დეკანი ბატონი აკაკი ხელაძემ, სრ. პროფ. ი. მესხიამ სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. ელენე ხარაბაძემ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა***

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 40;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს: აღნიშნული საკითხის განხილვა გადადებულ იქნეს სამომავალოდ.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის (2012–2014) „მარკეტინგის“ მოდულში ცვლილებების შეტანის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარმოდგენილ იქნა სრული პროფესორის ნ. თოდუას მოხსენებითი ბარათი, რომელიც ითხოვს ცვლილებებს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მარკეტინგის მოდულში შემდეგი სახით:

1. *სავალდებულო სასწავლო კურსი **„მომსახურების მარკეტინგი“** გახდეს არჩევითი სასწავლო კურსის **„სურსათის მარკეტინგი“** ნაცვლად;*
2. ***მესამე სემესტრში** სავალდებულო სასწავლო კურსის **„მომსახურების მარკეტინგი“** ნაცვლად შემოღებულ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსი **„რაოდენობრივი ანალიზის სტატისტიკური მეთოდები“.** (აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი შეფასდა არსებული წესის მიხედვით. კურსის სილაბუსი და სილაბუსის შეფასების ფორმა ბარათს თან ერთვის).*
3. *ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ცვლილებები აისახოს 2012–2014 სასწავლო წლის კურიკულუმში.*

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ი. ანანიაშვილმა, სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. ი. მესხიამ, დეკანმა ბატონმა ა. ხელაძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 40;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს: 1. *შევიდეს ცვლილებები ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში, 2012–2014 სასწავლო წლის კურიკულუმში:*

*ა). სავალდებულო სასწავლო კურსი **„მომსახურების მარკეტინგი“***

*გახდეს არჩევითი სასწავლო კურსის „**სურსათის მარკეტინგი**“ ნაცვლად;*

*ბ). **მესამე სემესტრში** სავალდებულო სასწავლო კურსის „**მომსახურების მარკეტინგი**“ ნაცვლად შემოღებულ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსი „**რაოდენობრივი ანალიზის სტატისტიკური მეთოდები**“. (აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი შეფასდა არსებული წესის მიხედვით. კურსის სილაბუსი და სილაბუსის შეფასების ფორმა ბარათს თან ერთვის).*

მოისმინეს: შუალედური გამოცდებისა და აპელაციების შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გ. ღაღანიძე/

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ბატონმა გ. ღაღანიძემ საბჭოს გააცნო საგამოცდო ცენტრიდან გადმოგზავნილი ინფორმაცია შუალედურ გამოცდებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გამოიკვეთა საგნები, სადაც გადახრა იყო უმაღლესი შეფასებებისკენ, აპელაციების და გადაკეთებული ნიშნების რაოდენობის ზრდისკენ. ყველა სრულ პროფესორს გადაეგზავნა აღნიშნული წერილი შემდგომი რეაგირებისათვის.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. ი. გაგნიძემ, სრ. პროფ. ი. კოვზანაძემ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა

ყველა სრულ პროფესორს გადაეგზავნა აღნიშნული წერილი შემდგომი რეაგირებისათვის და ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ აღნიშნული ანალიზის ანგარიში.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: საგამოცდო ცენტრში ფინალური გამოცდების ბილეთების გადაგზავნის მდგომარეობის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გ. ღაღანიძე/

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ბატონმა გ. ღაღანიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია ფინალური გამოცდების ბილეთების გადაცემის შესახებ და აღნიშნა, რომ ფაქტიურად ყველა საგნის ბილეთები გადაცემულია საგამოცდო ცენტრისთვის განსაზღვრულ ვადებში.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ოპტიმიზაციის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გ. ღაღანიძე/

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ბატონმა გ. ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით ბატონ ელგუჯა მექვაბიშვილთან გაიმართა კონსულტაციები და შესაძლებელია მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები ჩატარდეს კომპიუტერული წესით.

აზრი გამოთქვეს: ***ფაკულტეტის დეკანმა ა. ხელაძემ, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი,***

ფაკულტეტის დეკანი ბატონი ა. ხელაძე *- მე ვიწონებ ამ გადაწყვეტილებას. დაევალოს პროგრამის ხელმძღვანელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრობლობით მომავლისთვის მომზადდეს შესაბამისი ცვლილებება.*

მოისმინეს: ერთიანი ეროვნული გამოცდების გამო კორპუსის შეცვლასთან

დაკავშირებით

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს ბატონ აკაკი მიქაბერიძეს მიღებული აქვს დავალება კორპუსის შეცვლასთან დაკავშირებით, დაგვეგზავნებად მასალები კონკრეტულად სად ვიქნებით განთავსებულები.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: სრ. პროფ. მ. მარგველაშვილის ანგარიში სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ; ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილის ანგარიში სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ; ასისტ. პროფ. ა. გაბრიჭიძის ანგარიში სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ.

ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილი შემოვიდა წინადადებით, რომ სრ. პროფ. მ. მარგველაშვილის; ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილის და ასისტ. პროფ. ა. გაბრიჭიძის ანგარიში სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ დაგვეგზავნოს ელექტრონულად და მიღებულ იქნას ცნობად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. ხელაძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,

ასოც. პროფ: ხ. ბარბაქაძე